

პრესრელიზი

"საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა" სპონსორობა გაუწია 20 მაისს გამართულ ავტორბოლას უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შორის

2012 წლის 20 მაისს თბილისში კოსტავას გამზირზე გაიმართა ავტორბოლა წყილთა თანრიგში ეტლით მოსარგებლე პირების, პროფესიონალი ავტომბროლელებისა და მათი მეგობრების მონაწილეობით. ავტორალი გაიმართა ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით. სპონსორებს შორის სხვა კომპანიებთან (ბილაინი, თეგეტა მოტორსი, გალფი, ავერსი და ბარამბო) ერთად „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფიც“ იყო, რომელმაც შეჯიბრზე საკუთარი გუნდი წარმოადგინა და საპატიო მესამე ადგილი მოიპოვა.

ეტლით მოსარგებლე პირების მონაწილეობით ამიერკავკასიის რეგიონში პირველად გაიმართა და მისი ჩატარება შესაძლებელი გახდა პროექტის „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ ფარგლებში, რომელსაც შშმ პირები ახორციელებენ და რომლის მიზანი საზოგადოებაში ინვალიდობის თემის პოულარიზაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი და აქტიური ცხოვრების გზით თანაბარი პირობების შექმნის ხელშეწყობაა.

ავტორალში მონაწილეობა არაერთმა პოპულარულმა ტელესახემ (ნანიკო ხაზარაძე, დათო მესხიშვილი, ნიკა არაბიძე, გიორგი სუხიტაშვილი, ვასილ ფხაკაძე, გიორგი ყიფშიძე, თიკო სადუნიშვილი), და პროფესიონალმა ავტომბროლელმა მიიღო: ზურაბ ბეჟაშვილი, დავით ნებიერიძე, გოგა გელაშვილი, ანუკი ნაკაშიძე და სხვა. საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი მიესალმება და თანადგომას უცხადებს მსგავსი ტიპის ღონისძიებებს. ჩვენი და სხვა მხარდამჭრთა დახმარებით, მომავალშიც იგეგმება არაერთი ღონისძიების ჩატარება, რომლებშიც უფრო მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი იქნება ჩართული.

20.05.2012

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟაშვილი.

